



მედ იქცევა, კიდევ-და-კიდევ მრავალ ცხვრის პატრონებს მოსწველიან და გაჰკრებიან „მატყლის ბედის მწერლები“, რომელნიც მარტის დამდეგიდანვე გიოტებს მფევისტოფელით ყველგან მიჰქონდნენ ამოძვრებიან და დაარბიებენ ფულს გაჰკრებიან ცხვრის პატრონთა შორის გაზაფხულის მატყლის ჩაღის ფასად დასაკეთად. ამ საქმეს ეხლა ცეშვებოდა, თუ-კი სამეურნეო საზოგადოების ბიურო აუწყებს ცხვრის პატრონებს გაზეთების და მამასახლისების საშუალებით საქმეებს, რომ გაზაფხულის მატყლის ნულარ გადაყრის ბზის ფასად, არამედ წარუდგინონ ნიმუშები და თვით იგი ბიურო უშუალოდ მფევაბრძელებთან. ბიუროს ასეთ რჩევას დიდის მადლობა-სიხარულით მიიღებენ შემძლე ცხვრის პატრონები. ხოლო რაც შეეხება ხელ-მოკლე მეცხვარეთა ფულის საჭიროებას, აქ შეიძლება ურთიერთის ნდობით ჩვენმა რომელმამე ბანკმა აღმოუჩინოს ძმური დახმარება ხელის მოსანაცვლებლად, ვიდრე მატყლის თავის ფასად გაჰყიდნენ, შეიძლება მფევაბრძე-კაპიტალისტებმაც იკისრონ ასეთი დახმარება წინა დღითვე სამეურნეო საზოგადოების წინადადებით; არის მესამე საშუალება წამალიც: სასოფლო პურის მალაჩების ფული, რომელიც თითქმის მილიონ მანათს შეადგენს ტფილისის გუბერნიისა. ამგვარი დახმარება დიდს სარგებლობას მოუტანდა ხალხს, დიდადვე მოიგებდა მის გულს და უფრო ადრე აფიქრებინებდა საქართველოს ყველა მახრებში მეცხვარეთა ამხანაგობის შედგენას.

თავის დროზედ შეძლებისდაგვარად სისტემატიურად ავწერავთ სიღნაღის მახრის ცხვარ-მატყლის რაოდენობა-ავარჯიანობას, მის წარსულ-აწმყო აღებ-მიცემობას და ცხვრის პატრონთა მომავალ ამხანაგობის იმგვარ ორგანიზაციას, რომელიც-კი, ჩვენის ფიქრით, უფრო შეეფერება ქიზიყის ხალხის აწინდელ ყოფა-მდგომარეობას დროს და გარემოების მიხედვლობით იმ იმედით, რომ ამგვარ საქმეებზე საჭიროება მოყვარულნიც თავიანთ მოსახრებას გამოსთქვენ, საქმე აიწონ-დაიწონება და ქიზიყისა და განხორციელდება მეცხვარეთა ამხანაგობა, რომელიც განუყოფელი ძარღვი იქნება საქართველოს ყველა მახრების ცხვრის პატრონთა ცენტრალური დაწესებულებისა.

ბოლოს კრებამ იმაზედ ჩამოავლო ლაპარაკი: დღეს რომ ჩვენი ქირის ოფლით მონადეაწი სულადით (ქვრით, პურით) სხვები მდიდრდებიან და ამ სურსათის ისინი აძლევენ სამიოთხი მახრის ჯარსა და ცხენებს, ჩვენი უფრო უპირანა ეს და სოფლის საზოგადოებას უფრო სიხარულით მოგვცემს მთავრობა სულადით „ფოდორიკობის“ უფლებასაო, მაგრამ აქაც ჩვენი უკოდინრობა-დაუდევრობისაგან ჩვენის მონაგართი სხვები მეფობენ და ჩვენ ყმათ გვისდიანო. ჩამოვარდა აგრეთვე სჯა-ბაასი ლეინის საზოგადოების მალაჩებზე, და ბოლოს ყველამ შეიძლება დასკვნა გამოიყვანა: უთავბოლო, ქართველური დაუდევრობა, შურთან შენ-ჩემობა და ერთბანეთის მხარ-მიუცემლობა გელუპავს ქართველებს, თორემ ჩვენ რომ ჩვენ სულადს, ლეინოს და მატყლს კეთილი გზი გამოვიჩინოთ ძმური ერთობის ძალით, ჩვენს ბედს ძალით ცვლილარ დაჰყვებოდა. ამ საქმეზედ სათათბირო მოლაპარაკება სხვა დროსათვის გადასდევს. ეს კითხვა კრებამ, ბევრი საგულისხმო სიტყვები წარმოსთქვა სუფრაზედაც და ბინდისას დაიშალა იმ იმედით, რომ სამეურნეო საზოგადოება მალე გასამოწყნებს ამ ამბით: ნულარ გადაყრით მატყლს ბზის ფასად, ამ გაზაფხულისაგანვე დაგეგმარებიანო.

ბის ძალით, ჩვენს ბედს ძალით ცვლილარ დაჰყვებოდა. ამ საქმეზედ სათათბირო მოლაპარაკება სხვა დროსათვის გადასდევს. ეს კითხვა კრებამ, ბევრი საგულისხმო სიტყვები წარმოსთქვა სუფრაზედაც და ბინდისას დაიშალა იმ იმედით, რომ სამეურნეო საზოგადოება მალე გასამოწყნებს ამ ამბით: ნულარ გადაყრით მატყლს ბზის ფასად, ამ გაზაფხულისაგანვე დაგეგმარებიანო.

მათი დღეო.

უცხოეთი

ინგლისი. პარლამენტმა გადასწყვიტა, მთავრობამ მიიღოს რაიმე ზომები ოსმალეთის აზიის საქრისტიანო ერის დასაფარავად. ეს კითხვა აღძრა სამეფო სმიტმა და განაცხადა, რომ ინგლისს არ შეეფერის ასე გულგრილად უყუროს მთელი ერის გაწყვეტასაო. სმიტს მიემხრნენ დეპუტატი კინკვი და გრეი, რომელთაც გამოსთქვეს სრული იმედი, რომ ინგლისის მთავრობა ეცდებოდა და წინააღმდეგობა ამ ევროპისათვის სამარცხვინო მოქმედებას ოსმალეთის მთავრობისას. თუ ვერაფერს გააწყობს, მაშინ განაცხადოს მინც, რომ ინგლისი ვერ მიემხრობა ისეთს მთავრობას, რომელიც ამგვარს საქმეებს შერბობს, სამინისტროს მაგივრად ამბობდა კერზონი. განაცხადა, რომ მთავრობა ეთანხმება კერზონის აზრს, მხოლოდ ეს-კი უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ ყოველს ზომას ვინმართ სომეხთა დასაფარავად, გარდა იარაღისაო. ამის შემდეგ კერზონმა დაიწყო იმის მოთხრობა, თუ როგორ იქცეოდა ინგლისი ამ საქმეში. სოლსბერიმ კარგად იცოდა, რომ მარტო საფრანგეთისა და რუსეთის შემწეობა არა კმარა ამ საქმის გადასაწყვეტად და ამიტომ სხვა სახელმწიფოებსაც მიჰმართა, მაგრამ ავსტრია-უნგრეთმა განაცხადა უკეთესიაო თვით სულთანს მივანებოთ ეს საქმეები, თვით ჩვენ-კი არაფერში გავფრვეითო, რუსეთმა-კი გვიჩინა მოვიცადოთ, თვით აჯანყებულნი დაწყნარდნენ და სულთანმა დაპირებული რეფორმები შემოიღოსო. ამიტომაც ინგლისს არ შეეძლო ენერგიულად ემოქმედნა ამ საქმეში, რადგან ადვილი შესაძლებელია ამას მთელი ევროპის ომი მოჰყოლოდაო. ყოველს შემთხვევაში—დაუმტა კერზონმა—მთავრობა მომავალშიც-კი ყოველს საშუალებას იხმარს სომეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლადო. ამის შემდეგ სმიტის აზრი უქნკოდ მიღებულ იქნა.

საზრანგეთი. პრეზიდენტის ფორის სიტყვა საფრანგეთის გაზეთებში (ლაპარტიუნისტებისა, რასაკვირველია) უკმაყოფილებით მოიხსენეს. ეს კიდევ შო, მაგრამ ისი აღარ გვესმის, „ტაიმის“ კორესპონდენტს ბლოვიცს რაღა უნდოდა, რომ ისეთის გაცხარებით თურმე მოიხსენია ფორი. პრეზიდენტი ბურჟუას ახლავს და მინისტრის ავტაცის აკანონებისა, როგორცაც სამინისტროს პოლიტიკის მოთავსებ მოაქვს თავიო. ინგლისის კორესპონდენტი მკითხველების განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს იმას, რომ ხალხი ყვიროდაო: „გაუმარჯოს ბურჟუას! მოგვაშორეთ სენატო“.

კორეა. სეულოდამ იუწყებიან, რომ 10 თებერვალს იქ მისულა 127 რუსეთის მეზღვაური, მეფე და მე-მკვიდრე პრინცი თურმე რუსეთის საელჩოშია. ახალი სამინისტრო შესდგა.

უწინდელ მთავარ-მინისტრს და ხუთ სხვა მინისტრს, რომელნიც იაპონიის მომხრე იყვნენ თავები დას-ქრეს. ტაკიოს გაზეთები ამბობენ, რომ მეფე რუსეთის ელჩის ზედგავლენის ქვეშ არის და იმითმ რჩება საელჩოშიაო. საელჩოს იცავს 200 რუსეთის მეზღვაური.

ჩინეთი. „ტაიმის“ სწერენ შანჰაი-დამ: ლი-ხუნ-ჩანგი აპირებს რუსეთში წასვლას და უნდა რუსეთის მთავრობასთან საიდუმლო პირობა შეკრასო. ამ ხელშეკრულობის ძალით, რუსეთს ნება ექმნება ისარგებლოს ჩინეთის ნავთ-სადგურებითა და თოფხანებით, იყიდოს ცხენები და ამუშავოს ჩინეთელი კულიები (მუშები). ჩინეთი აძლევს რუსეთს პორტ-არტურს, კილო-შაუს, და რუსეთის გემებისათვის თარჯიმნებს ათხოვებს ხოლომე რუსეთის ოფიცრებს ექმნებათ ნება თავისუფლად წავსვლა-წამოსვლისა მანჯურიაში. „ტაიმის“ დიდად-კი არა სჯერა შანჰაის კორესპონდენტის სიტყვები.

შურნალ-გაზეთებში და წიგნებში

ამოკრებილი ამბები.

— უძილობა მეტად მძიმე და შემაწუხებელი სენია და ყველაზე უწინარეს იმას ჰწინავს, რომ კაცი მოშლილი და მოდუნებული ძარღვებში. აქამომდე წამლად იმას ამბობდნენ, რომ ძალიან ბევრი სიარული უნდა წმინდა ჰაერზე, ნამეტნავად სიცივეში, კაცი კარგად უნდა დაილალოს და ძილი მოეუფაო. ეს ცოტად თუ ბევრად მართალია, მაგრამ ყველას არა აქვს დრო, რომ ამ სიარული-სათვის დღეში რამდენიმე საათი მოიკალოს. სხვა რაღაც დასაღველი და სასუნებელი წამლები თუშკა პირველში ჰრგებენ, მაგრამ კაცი ამ წამლებს მალე შეეჩვევა ხოლომე და ბოლოს ეს წამლები აღარას ჰშველის. დოქტორს ჰუკსლის გამოუკლევი მიზნის უძილობისა სხვა და სხვა გარნი და შეუნი-შნავს, რომ ადამიანს არა იშვიათად ძილი ერევა ხოლომე, როცა მთის მაღალ წვერზე დადის და მით უფრო, რაც ჰაერი, რომელიც სულთქმენ, უფრო თხელია. ჰუკსლის მეტე ყურადღება მიუქცევია, რომ ძალი და კატა, როცა იძინებენ, ცხვირს თავის ბალანში წაჰყვანენ ხოლომე. ამ მაგალითებს ჰუკსლი იმ აზრზე დაუყვებოდა, რომ დაბრკოლებული ჰაერი ძილსა ჰგვრის სულდგმულსა. ამ საბუთით იგი ურჩევს იმათ, ვინც უძილობას უჩივიან, რომ როცა იძინებდნენ თავზე წაიხურონ საბანი და ამ გზით შედარკოლონ ჰაერის დენა სასულთქმავად. თუმცა ვგრე დახშული ჰაერი ემიძიება ადამიანს და მანებელიც არის, მაგრამ ვგრე მძინარე ადამიანი დიდხანს არ ისულთქმებს ამგვარს ჰაერში და რა წამსაც ძილი მოუფა, თვითონ თავისთავად და გაუგებრად გადინდის საბანსა და გარეთ ჰაერს დაუწყებს ყლაპვასო. ჰუკსლი ირწმუნება, რომ ამ დონისძიებით ყველაზე უფრო საიმედოა კაცი უძილობას გადაარჩესო. (5.)

— შარზან, თუ შარზან-წინ სერბიაში ოსმალთაგან გაგზავნილ იყო ელჩად პოლკოვნიკი ტრეკო-ბეი, იქაურმა გაზეთმა „ოპი-ეგმა“ დაჰმეტა მისი ბიოგრაფია და სხვათა შორის მისი ცხოვრებამაც ეს ამბავი მოიხსენა: 1880 წ. ტრეკო-ბეი სულთანს ეგვიპტეში გაუგზავნა განსაკუთრებულ მინდობილობით. ერთხელ ჰედისე ჰსლებია სანაზავად და მასთან ერთად იქ ყოფილა არაბი-ფაშა, არაბი-ფაშას უეტრად ამოუღია რეგულაციები და სდომებია დასცეს ჰედისეა. ტრეკო-ბეის ხელი აუკრავს, გაუგებრებია არაბი-ფაშისათვის რეგულაციები და მით გადურჩენია ჰედისე სიცივლისაგან.

მადლობის გადასახდელად ჰედისე გაუგ-

ზავნია საჩუქრად ტრეკო-ბეისთვის ორას ორმოც-და-ათი ოსმალური ლორი (თითქმის ორასი თუმანი). ტრეკო-ბეის არ მიუღია და უკან დაუბრუნებია. ჰედისე ჰგონებია, იცოტავაო და დამაწყვარაოა, აულია და ხუთი ათასი ლორი (თითქმის 40,000 მანეთი) გაუგზავნა. ტრეკო-ბეის ისიც უკანვე დაუბრუნებია და შეუთვლია, რომ მე ნება არა მაქვს საჩუქარი მივიღო იმისათვის, რაც მე ვალად მედვა, ვითარცა ოფიცრის მისის ღირებულების სულთანისაო.

ამ პატიოსანმა და კეთილშობილურმა მოქმედებამ ტრეკო-ბეის ისა ჰქმნა, რომ, როცა დაბრუნდა კოსტანტინეპოლში, სულთანის საყვარელ კაცად შეიქმნაო. (5.)

— ვერონაში, როცა წმინდა ლორენტოს ეკლესიის შეკეთებას შესდგომია, უზონიათ ორი ძველი ნახატი: მადონა რაფაელისა და ხატი დახატული ნიკოლო ჯიოლინისი. ორივენი თურმე ნამდვილი არიან. მილანის ანტიკვრთა საზოგადოებას ამ ორ ნახატში შეუძლვია ერთი მილლიონი ლირი, მაგრამ ამოდენა ფულზედა-კი უარი უთქვამთ. (5.)

ბიბლიოგრაფია

ქართული წერის დედანი, ვ. გაბიჩაძისა, ფსი 20 კ.

რამდენადაც გვახსოვს, ბ-ნ ვ. გაბიჩაძეს წინადაც გამოუცია ქართული წერის დედანი. ეს ახალი გამოცემა, რასაკვირველია, შეცვლილი და უფრო შეესებოდა. დედანი საკმაოდ სუფთად არის გამოცემული, კარგს ქალაქზე არის დაბეჭდილი, შეიცავს 24 გვერდს და განიცავება უმთავრესად ორ ნაწილად: ერთს შეადგენს მრგვალი ხელის ნიმუშები, მეორეს—მარტი წერისა ანუ ნუსხურისა. მრგვალის ხელის ნიმუშებშია ზაზა დედანი წმინდა გიორგისა; ამიტომ მოკლეთ მოვსტრით ამ ყაზად მისს შესახებ ბაასს. ჩვენის რწმენით, ქართულს დედანში რაც მრგვალს ხელს ნაკლები აღვიღოთ ეჭირება და ნუსხურს მეტი, მით ავტორები მეტს სამსახურს გაუწყვენ ჩვენს მოზარდ თაობას, რადგან მრგვალი ხელი ბავშვს აჩვევს მძიმედ, ტაატობით წერას და არც ცხოვრებაშია მარე რიგად გამოსაყენებელი, ნუსხური-კი იწერება მარად და ნამდვილს საჭიროებასაც ეს შეადგენს: ჩვენ ყველანი ყოველს შემთხვევაში ვინმართ მხოლოდ და მხოლოდ ნუსხურს. მრგვალის ხელით ჩვენს პრაქტიკულს დროში მეტის-მეტად მოკლილი და უსაქმო კაცი თუ დასწერს რამე, ისიც იმ დროს, თუ გუნებაზე არის.

ცხლანდელი წერის მეთოდი თხო-ულობს: სწერეთ ღამაზად, გარკვევით, მხოლოდ მარად-კი. ამ კანონის მიხედვით დედნების ყველა ავტორები უცხო ენებში სულ იმას ცდილობდნენ—რა-კი შეიძლება ასოები გამარტივონ, გააადვილონ, რომ მათი დაწერაც ადვილად და მარად შეიძლებოდეს.

ჩვენმა ავტორებმა-კი თითქო მოდალ შემოიღეს: დედანში მთლად გააქრებდნენ მრგვალის ხელის ნიმუშებს და ერთს-ორ გვერდს მხოლოდ უძღვნიან ნუსხურს.

კერძოდ ბ. ვ. გაბიჩაძის მრგვალ ხელზე უნდა ითქვას, რომ ასოები კობტად არის მოყვანილი და მოკლებულია სხვა-და-სხვა ამპურებულ ხაზებს, რომლებიც წერას იმდენად სილამაზეს არა ჰმატებენ, რამდენად რთულ საქმეს უფრო აქაიანურებენ და აძნელებენ.

შეიძლება ზოგმა სთქვას რამე წინააღმდეგ ზოგიერთი ასოების ჰენე-

ტიური განწყობილებისა ბ. ვ. გაბიჩაძის დედანში; მაგრამ ჩვენ ამას დიდ ნაუზღევანებად ვერ ჩავუთვლით, რადგან ჯერ ერთი ცოტაოდნად საცილობელი საგანია: ერთს ვადვილება ერთი ასო და თავში იმას ათავსებს, მეორეს—სხვა და იქილამ აწარმოებს ზოგიერთს დანარჩენ ასოებს. გარდა ამისა, ჩვენის აზრით, კლასში დედანი იმდენად მოწაფისთვის არ არის საჭირო, რამდენადაც მასწავლებლისთვის; მასწავლებელი კიდევ დედანში ეძებს კობტა, ლამაზი და მარტივი ასოს ნიმუშს; ასოების განწყობილების შესახებ-კი, არ შეესცდებით ვსთქვაო, რომ მომეტებულ ნაწილად იგი თავის შეხედულებას, გემოვნებას და გუნებას ეკითხება; თუ კი უმჯობესად მიანჩია, იგი წინ დასმულ ასოს მერე აწერინებს და უკან დასმულს—პირველად.

ყველაზედ უფრო ყურადღების ღირსი და თვალ-საჩინო ბ. ვ. გაბიჩაძის დედანში, ჩვენის აზრით, არის ნუსხური ანუ მარტი საწერი ხელი, რომელიც იწყობა მე-17 გვერდიდან და მიდის ბოლომდე, ასე რომ მას სულ 8 გვერდი უკავია.

თვითოველი ასო აქაც ისევე ღამაზია, როგორც მრგვალს ხელში; მხოლოდ რაც შეეხება სიმარტივეს, უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ასოები, მაგალითებრ: ი, ე, მ, ვ და გ, შეიძლება უფრო მარტივად დაწერილიყო, ვიდრე აქ არის; სხვათა შორის სიმარტივისთვის ამ ასოებში საჭირო იყო მხოლოდ ყველა ის წერტილები, რომლებიც ამ ასოებს უხსენდს დასაწყისში, შეცვლილიყო მოკლე, სწორე ხაზებად ისე, როგორც ნამდვილად ცხოვრებაში ვხვდავთ.

ახალი და უფრო მოსაწონი ნაბიჯი ამ დედანში ის არის, რომ აქ ვხვდებით პირველად ნიმუშს სიტყვაში ყველა ასოების შეკავშირებას, გადახმას (იხ. გვერდი მე-24). მარტი წერა, რომელსაც დედანდელი წერის მეთოდი ესწრაფვის, უამისოდ ე, ი, ყველა ასოების გადუბმელად სიტყვაში, შეუძლებელია. ჩვენში ბევრი იმ შეხედულობისაა, ვითომ ქართულ წერაში მთელი სიტყვის ასოების გადახმა შეუძლებელი იყოს. ჩვენის რწმენით, ეს საქმე შეძლებით შესაძლებელია, მხოლოდ ამას უნდა დაწყობა და თაობა. ბ. გაბიჩაძე ნათლად გვიჩვენებს ამის შესაძლებლობას და მხოლოდ საჩოთირო ის არის, რომ რითაც ნუსხური ხელი უნდა დაეწყო, იმით ათავსებს; სრული დაკავშირება ასოებისა უნდა ეჩვენებინა მე-17 გვერდზედვე, სიი-დამაც უკვე ნუსხური იწყობა; თორემ რა გამოადის: ჯერ ბავშვს აჩვევს სიტყვაში თვითთული ასოს განცალკევებით წერას, შემდეგ ცდილობს ამას გადააჩვიოს და ყველა ასოები გადახმით აწერინოს. ეს, უუტველია, ეწინააღმდეგება პედაგოგიურს პრინციპს, რომელიც ამბობს: „ბავშვს თავიდანვე იმისთანა საქმეს ნუ შეაჩვევ, რომ ბოლოს უუტველად იმის გადაჩვევა დასჭირდესო“. მართლაც ყველამ კარგად უწყის, რომ გადაჩვევა რისამე უფრო ძნელია, ვიდრე დაჩვევა. იგივე აზრი გამოთქმულია ქართულს ანდაზაში: „დაუჩვევდეს ნუ დაჩვევ, დაჩვეულსა ნუ მოაკლებო“.

დღე, ბავშვმა დასწერა თუ არ

პირველი სიტყვა, მაშინდევ გადაბას ყველა ასოები, რომლებიც მას შეადგენენ; თორემ თუ თავიდანვე ნება მიეცით ასოების განცალკევებით წერისა, შემდეგ შეძელი ანუ სრულიად შეუძლებელი იქნება იგი ასოების სრულს დაკავშირებას-ლა შეაჩვიოთ. ამის დასამტკიცებლად, ვგონებ, საკმარისია თვითველი ჩვენთაგანი დაუკვირდეს თავის თავს: ძნელად თუ ვინმე ჩვენში არ ჰკარძობდეს გადაბმული წერის უპირატესობას და საკიროებას, მხოლოდ აბა რამდენი პირი მოიპოვება, რომ დაეძლიოს სიყრმიდგანვე შეჩვეული ასოების განმარტებით წერა და შესდგომოდეს სრულ გადაბმით წერას.

მაგრამ ბ. ვ. გაბრიძე ამისთვისაც დიდი მადლობის ღირსია; ჩვენ არ გვავიწყდება, რომ კარგი და ახალი საქმე ერთბაშად არას დროს არ კეთდება. მის მიერ შემოტანილი ქართულს წერაში ეს პირველი ნაბიჯი საკმაო საბუთს ვგაძლევს, რომ კეთილად მოვიხსენიოთ მისი შრომა და ვისურვოთ მისი ქართულ საზოგადოებაში გაყრცელება.

ალ. მირიანაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ.ნ. რედაქტორ!

გაგზავნით ჩემ მიერ შეკრებილს თ. რ. კრისტაფის ფონდის სასარგებლოდ, 15 მანეთს და გთხოვთ თქვენს მატარებელს გაზუთის საშუალებით გამოაცხადოთ შემოქმედებლას სახელი: 4218 23 მანეთი, კინაზნა მარ. ანდრეასოვისა 1 მ., მადალიანა ჟაფარბაძისა ათი შაური, სოფია გუბელაძისა ათი შაური, თ. ა. ჩაქვაძისა 2 მან., ტ. მენთეშვილისა 2 მან., გ. შოტნიკისა 1 მან., ბ. თაფურაძისა 1 მან., თ. რ. მაქვალაძისა 1 მან., მ. გუბელაძისა 1 მან., კ. კვანციაშვილისა 1 მ., ტ. კახიანიძისა 1 მან., და ი. შუბლაძისა 1 მან.

ტ. მენთეშვილი.

საპარტიველოს თავადნი.

თავადნი რუსიშვილნი. თავად რუსიშვილთა გვარეულობა აღნიშნულა გასუთის თავადთა საბჭო, რომელიც საქართველოს მეფის კრეკლე II-ის 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატს აქვს შედგენილი.

6 დეკემბერს 1850 წელს უმადლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა საკრებო საბჭო აღნიშნულნი არიან თავადნი რუსიშვილნი: 1) ლუარსაბ ბარამის ძე, ცოლი მისი ეფემია, შეიღნი მათნი: აბელ და თამარი; 2) შარბორშიძის სპირიდონ ბარამის ძე; 3) ქვარცი ქაიხოსროს ძე—ეკლესი და შეიღნი მათი შარბორშიძის რევაზ ქაიხოსროს ძე; 4) გიორგი გრაგოლის ძე, ცოლი მისი ბარბარე, შეიღნი მათნი: თამარ, კოსტანტინე და თებრანია და ჩამოთვლილთა ცხრა სსვა ოჯახობა კიდე.

უმარტუბელისა სენატის დადგენილებით 6 ოქტომბერს 1865 წ. და 9 ოქტომბერს 1868 წ. თავადებად ცნობილი და V გვარეულობათა წიგნში შეტანილი არიან გიორგი თამარის ძე და ეკლესი სპირიდონის ასული რუსიშვილნი.

დეგემა

(რუსეთის დეგემათა სააგენტოსაგან).

I მარტი.

პატივპატივნი. უმთავრესნი მოგებანი დღეს მომხდარის ტირაჟის მეორე შინაგან მომგებინის სესხის ხელშეწყობის ბილეთებს:

ნომრები სერებისა	ნომრები ბილეთებისა	სოფლები
1257	34	200,000
10446	49	75,000
10658	21	40,000
19387	46	25,000
6140	30	10,000
19456	42	10,000
130	44	10,000
10049	7	8,000
8254	44	8,000
7858	26	8,000
11996	47	8,000
13362	23	8,000
18190	27	5,000
13773	4	5,000
17491	23	5,000
1283	5	5,000
17511	44	5,000
19910	17	5,000
16879	20	5,000
9183	10	5,000
9048	50	1,000
18078	10	1,000
7392	36	1,000
19449	26	1,000
18809	16	1,000
8464	92	1,000
18149	44	1,000
19822	11	1,000
4218	23	1,000
6909	14	1,000
6794	18	1,000
8284	18	1,000
5919	16	1,000
18216	50	1,000
19704	42	1,000
1652	9	1,000
8907	23	1,000
5513	12	1,000
13439	27	1,000
10452	27	1,000

„ივერიის“ ფოსტა

მოსამოკვნი, ბ. კ. თ—ს: თქვენი სიმპატიური წინადადება დაგვიანებულია, რადგანაც ვგ საგანი ამ მოკლე ხანში უნდა გარდაწყდეს საბოლოოდ.

ს. კარბაძე, ალ. ქ—ს: თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ტფილისში, მ. ბ.—ს: „ღედის ბრალი“ არ დაიბეჭდება.

იმე, ბ. ბ.—ს: წერილი „არ ვბატებ“ არ დაიბეჭდება.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა.

დილაობით: ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულგებანი სახიზრურო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სნეულგებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქაჯია ა. ი. დუნუგა-რუდენი.

*) დეგემა ღამის 2 საათზე მოვივიდა და ამიტომ ხვალ დაბეჭდვით.

კო 11—12 საათ. სნეულგებანი: დღეთა სქესისა და ბავშვებისა.

ა. ჭ. შარბორშიძისა. 12—1 საათ. სნეულგებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. შუგინაძისა. 12—1 საათამდე. შინაგანი, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. შ. კარბაძისა. 1—1/2 საათ. სნეულგებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადაბოობით:

ა. ფ. შარბორშიძისა. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. შუგინაძისა. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურგაძისა. 6—7 საათ. სნეულგებანი: სიფილისი, ვენერიული, ში. ნიგანი და კანისა.

ა. გ. გურგაძისა. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. ჩრევა-ღარიგებისა და რეცტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამე. ნაფოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

ტფილის ექიმი J. ი. მრბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №14—16

ავადმყოფებს მიიღებს: დღით 10-დან 2 საათამდე. საღამოთი 4-დან 6 საათამდე.

კვირა-შაბათ დღეებში დღით 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166—1891—86).

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერაკითხვის გამავარცლებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ხარბაშვილის ლექსები და წერილები. გამოცემა მეხუთე. ფასი 40 კ. მამის ერთეული. მოთხრობა მოზრდილის ყმაწვილებისათვის ქრ. შმიდტისა ფასი 15 კ. მტრედი. მოთხრობა მოზრდილის ყმაწვილებისათვის. ქრ. შმიდტისა ფასი 10 კ.

მაქვს ფანჯრად დასტული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თვითველი ღირს 2 მანეთი, აგრეთვე მართველთა ყველა გამოკნილის კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ-სახოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებულ ტიპებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ღამის საწრდილობა (აბაჯური) მართველთა გამოკნილ მწერლების სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბის ქუჩა, დრობიშვილის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

გამოვიდა და ისყიდება „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანისა“ წერილი მ. ჯანაშვილისა. (60 გვ. ფასი 10 კაპ.)

იხმარეთ მხოლოდ

საზონი „პავლინი“—იფი, კარგი, პრაქტიკული და მარგებელი.

ტფილისის „ამსხანგობისა“ ს. პეტერბურგში.

ს. პეტერბურგში, ალექსანდრ. მოვლ., 9, მისკოვი, კარშავა. (9—7—8).



Общество Страхования Жизни. Невский пр., № 13.

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ჩაჩვენები. ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინცოცაა დაუძღვრდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ანს., ტფილისის, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დაუხვება და პირფასს ფურცლები მსურველთ უფოდ გაგზავნებათ. (40—29)

„ივერია“

1896 წელსაც გამოდის ეოველ-დღე, გარდა იმ დღეების, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გასუთისა:

12 თვით.	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50,,	5 „	5 „ 50,,
10 „	8 „ 75,,	4 „	4 „ 75,,
9 „	8 „ —,,	3 „	3 „ 50,,
8 „	7 „ 25,,	2 „	2 „ 75,,
7 „	6 „ 50,,	1 „	1 „ 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის კარგად მცნებულ უნდა დაბარდნ გასუთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакция „ИВЕРΙΑ“.

თუ ტფილისში დაბარებული გასუთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა საღამე, ქალაქს გარეშე, — ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გასუთი არა მთელის წლით, მას გაგზავნება გასუთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც დაბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გასუთის რედაქციაში, უასი განცხადების დასაბამად

ა) მუთხე გეგრდზედ თითო ჟურ სტრაქონი—8 კაპ., შირველზე—16 კაპ. ბ) სრული ფანჯრული გეგრდა—30 მანეთი, ხოლო შირველი გეგრდა—60 მანეთი. რიცხვი სტრაქონებისა გამოანგარაშება იმის კვირბაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭრს 25 ასო გასუთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგანთო წერილები, თუ საკიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წერილმან წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდველ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰქვისრულობს.

პირისპირ მოსალოპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დან 7 1/2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.